საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები – მ. თ.; გ. თ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.11.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 155/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. კ.-ის მიმართ /სიითი №1319/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. კ.-ისათვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 2018 წლის 06 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს მ. თ.-მ და გიული თოთაშვილმა და მოითხოვეს ადვოკატ ლ. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მ. თ.-სა და გ. თ.-ს განმარტებით, მათ ჰქონდათ დავა ოჯახის ახლობლებთან, რომელიც ეხებოდა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას. აღნიშნულ დავაში მ. თ.-სა და გ. თ.-ს ინტერესებს იცავდა ადვოკატი ლ. კ..

1.3 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა ლ. კ.-მ გ. თ.-ს სახლში მიიყვანა მისი ახლობელი ინგა ფერაძე და გააცნო მათ. საჩივრის ავტორი მ. თ. გამოთქვამს პრეტენზიას ადვოკატ ლ. კ.-ის მიმართ, რომ მან ინგა ფერაძესთან ერთად, შეცდომაში შეიყვანა მისი მეუღლე, გ. თ., და მოტყუებით გადააფორმებინა ბინის ნაწილი ინგა ფერაძის სახელზე. ასევე, ადვოკატმა არ დაიცვა მათი, როგორც კლიენტების ინტერესები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. კ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2018 წლის 14 ნოემბერს, სადაც განმარტა, რომ იგი წლების განმავლობაში იყო გ. თ.-ს წარმომადგენელი სხვადასხვა სამოქალაქო საქმეზე და მის ოჯახთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა, გარდა ამისა, ადვოკატი აღნიშნავს, რომ იგი ასევე წარმოადგენდა ინგა ფერაძის მეუღლის ადვოკატსაც და მის ოჯახთანაც ჰქონდა ახლო ურთიერთობა.

2.2 ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორთა პრეტენზიას და განმარტავს, რომ მან კლიენტთა ინტერესები დაიცვა კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 მ. თ.-მ. და გ. თ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2018 წლის 06 ნოემბერს.

3.2 საჩივრის შემოტანის დროს, ადვოკატი ლ. კ. იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016-2018 წლებში.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. კ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21^3-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატ ლ. კ.-ს შეუწყდა ადვოკატთა ასოციაციის წევრობა, ადვოკატი გარდაიცვალა.

5.2 ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისგებლობის შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიიჩნია, რომ დისციპლინური წარმოება უნდა შეწყდეს, რადგან

ადვოკატს, რომლის წინააღმდეგაც შემოტანილია საჩივარი, შეუწყდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა.

5.3 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21^3 -ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით, „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხიმგებლობის შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის მე-2 ნაწილით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №155/18 ადვოკატ ლ. კ.-ის მიმართ /სიითი N1319/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/